წელიწადი მესამე

«საქართველო უწინარეს ყოვლისა»

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თეთრი გიორგი

—სჯობს მონობაში გადიდკაცებულს,
თავისუფლების მებნაში მკვდარი.
აკაკი

—არ არის მკვდარი ვინც მოჰკვდეს
და ხალხს შესწიროს დღენია,
მკვდრად იგი თქმულა ვისაც აქ
სახელი არ დარჩენია.
ილია.

პარიზი
28 აგვისტო 1928 წ.
N. 12

ქართველ პატრიოტთა ორგანო «თეთრი გიორგი»

Journal de l'Organisation des Patriotes Georgiens « THETRHRI GUIORGUI »

№ 12
26 Août 1928
PARIS

## 28 აგვისტო.

როდესაც დამპყრობელის ველური და ბრიყვული პოლიტიკა გადასცდება ყოველ საზღვარს, დაპყრობილი ერის მოთმინების ფიალა აღივსება და იგი მიმართავს უკიდურეს საშვალ:—სასიცოცხლო საშუალებას—აჯანყებას.

სიკვდილით სიცოცხლის მოპოვებას ლამობს და მსხვერპლად ეწირებიან თავისუფლებას თავდადებული მამულიშვილნი. ქართველი ერის შეგნება თავის უფლებისადმი, ურყევი სურვილი და მისწრაფება დამოუკიდებელ ცხოვრებისადმი იყო მამოძრავებელი ძალა 1924 წ. აგვისტოს გამოსვლების. გაბოროტებული რუსეთი, ბეცი და ჩლუნგი გონებით ვერ მიხვდა ამას. მას ჰგონია შესძლებს სისხლში ჩაახრჩოს საქართველოს დამოუკიდებლობის იდეა. მაგრამ ვინც იცის ქართველი ერის ხანგრძლივი ცხოვრების ისტორია, იგი ნათლად დაინახავს, რომ ეს ყოვლად შეუძლებელია. ისტორიის სივრცეზე ძლიერი მტერი ხშირად ახერხებდა ქართველი ხალხის დიდი ნაწილის გაწყვეტას, საუკეთესოდ ადუმებდა ერის მოწინავე რიგებს, მაგრამ ცხოველი იდეა ეროვნული «მე»-ობის შენარჩუნებისა, გადაეცემოდა ახალ თაობას;—ბრძოლა გრძელდებოდა.. საქართველო დაიხშვა ბრძოლაში და საშინელ ტანჯვაში, რომლის მსგავს რომელიმე პატარა ერის ცხოვრებაში ვერ ვხედავთ. დასაბამიდან ვიდრე დღემდე განუწყვეტელ ბრძოლას აწარმოებს და მტარვალთა წინაშე ქედი არასდროს არ მოუხრია.

ეს ნახეს აღმოსავლეთის ტირანებმა, ამას უნდა ხედავდეს ქართველი ერის დაუცხრომელი მტერი რუსეთიც. მაგრამ წაგლეჯა, დანგრევა, აღმოფხვრა სხვისი, ეს მისი ბუნებაა, ამას იგი თავის საკუთარ თავზედაც კი აწარმოებს.

აჯანყების შედეგია საუკეთესო ელემენტების გაჟლეტა, ვინაიდან მასში ყოველთვის ეს ელემენტები ღებულობს მონაწილეობას, მაშინ როდესაც ომში ყველანი თანასწორად იხოცებიან. აჯანყებაში კი რჩეულნი იღუპებიან და ამ საშინელებას ქართველმა ერმაც შესწირა საუკეთესო მამულიშვილნი, ინტელექტუალურად და ზნეობრივად ამაღლებული, გულწრფელად ერთგულნი სამშობლოსი და მასზედ მზრუნველნი. როდესაც დიდი უბედურება ხდება, იგი სავსებით ვერ აიწონება იმ მომენტში, მხოლოდ დროის განმავლობაში აშკარავდება სხვა და სხვა მხარეები ამ უბედურებისა. ადვილად მოახერხებს დაღუპვა საუკეთესო მამულიშვილთა, მაგრამ რამდენად ძნელია მათი ღირსეულ მემკვიდრეებით შეცვლა!..

შეთხელებულ რიგებს შევსება უნდა!..

იდი ხანი გაივლის სანამ დახოცილ ეროვნული გმირთა ადგილები დაჭერილი იქნება ახალი მებრძოლი თაობის მიერ. დაღუპულთა შეფასების დრო ჯერ კიდევ არ დამდგარა და სავსებით კიდევ ვერ განვიცდით მათ დანაკლისს, როდესაც მებრძოლნი დაირაზმებიან გარდამწყვეტ წუთებში, მაშინ აშკარათ დავინახავთ თუ რა დიდი მსხვერპლი იყო გაღებული წარსულ ბრძოლაში. იმ უზადო რაინდებმა, რომელნიც თავის მოვალეობის ღრმა შეგნებით, დარჩნენ საქართველოში, იბრძოლეს სიკვდილამდე. დიახ! გმირები არ გაურბიან საფრთხეს, ისინი ყოველთვის მედგრად და შეუპოვრად ეგებებიან განსაცდელს და თავიანთ სიკვდილით განამტკიცებენ ეროვნულ იდეას, რომელსაც შთამომავლობას უტოვებენ.

წამებულთა ძვლები, და მათი უმანკო სისხლი სამირკვლად ჩაეყარა ეროვნულ საქართველოს. ჯველა დაღუპული მტერთან ბრძოლაში საქართველოს დიდებისათვის გმირებია და მათ წინაშე დღეს დუმილით, მაგრამ სრულის შეგნებით, რომ მათ მიერ დაწყებული საქმე ღირსეულმა მემკვიდრეებმა უნდა დაათავონ, მუხლი მოვიყაროთ და სასოებით მოვიგონოთ ყოველი მათგანი.

მათდამი ღრმა პატივისცემა ნუგეშია უმწეოდ დარჩენილ ქვრივ ობლებისათვის, რომელთა სამსჯავროს წინაშე უნდა წარსდგეს გორორტი სუ ლი საქართველოსი, მიზეზი საქართველოს სისხლის მორევის გუბეებისა. პასუხს აგებს აგრეთვე ისიც ვისი შთაგონებითაც მოთმინება დალეული ქართველი ხალხი, მოუმზადებელი ბრძოლის ველზე გამოვიდა და სულ მცირე თითქმის უმნიშვნელო შედეგების გულისათვის, გაიწყვიტა ჩვენი ერის ყველაზედ უფრო აქტიური, ეროვნულად შეგნებული და ღირსეული ნაწილი.

განთავისუფლებული საქართველოს უპირველესი და უწმინდესი მოვალეობა იქნება საპატიო დაფაზე აღინიშნოს მტერთან უსწორო ბრძოლაში დაღუპულთა სახელები, განურჩევლად მათი რწმენისა, რათა მომავალმა თაობამ იცოდეს თუ როგორ აფასებს მადლიერი ერი თავის საყვარელ, ერთგულ შვილებს.

განთავისუფლებული საქართველო იზრუნებს ქვრივობლებზე და ყველა მათზე ვინც საქართველოს დამოუკიდებლობის საკურთხეველზე მსხვერპლად მიიტანა თავიანთი შვილები, ქმრები, მამები და ნათესავები.

საქართველოს მონობა და სიკვდილი არ უწერია...
ის იცოცხლებს მუდამ და მარად...
იდიდე საქართველო!..

მეგობარი.

---

მწარეა სინამდვილე, მწარეა წარსულის განმეორება. მტკიცდება კიდევ ერთხელ ის რაც უაჭველჰყვეს წარსულ ათეულმა საუკუნეებმა, რასაც არც ერთი მტერი ეძსხვერპლა. ქართულ ბრძოლაში გამოწრთობილი ხმალი და მკლავი მტრის ფეხქვეშ არ დაეშვება!. იბრძვის ერი რომელიც არასდროს შერიგებია შემოსეულ მტერს და ერის ლამაზ ისტორიას კვლავ ემატება ლამაზი ფურცლები და უკვდავ გმირთა ხეივანი.

არც ბრძოლა არც სიკვდილი სამშობლოსათვის უცხო არ არის ჩვენთვის, ბრძოლა ლხინია და თავისდადება წმინდა ანდერძი მამაპაპათა! რამდენი მტერი შემოსევია საქართველოს, რამდენი მტრის თავით გამაგრებულა საუკუნოვანი ჯებირი, რამდენი გმირების სახელით დამშვენებულა რიგები მათი, ვინც წმინდა საფლავებთან ფიცი დასდო ტრადიციული: «სიკვდილი ან გამარჯვება»! ჩვენ გმირებით ვცხოვრობთ და გმირები საქართველოსათვის. ვინც ამ წმინდათა-წმინდის ხელის შეხებას მოისურვებს, ის პირისპირ წარსდგება 60 საუკუნოვან ბრძოლაში და ცეცხლში გამოკრძმედილ თავდადებულ მამულიშვილთა წინაშე, რომელთა უკანასკნელი სიტყვა ერთია «გაუმარჯოს საქართველოს»! და ეს უკანასკნელი ამოძახილი ძლიერია შემოსეულ მტრის მზეცურ ყიჟინაზე.

ვაშა თქვენ ვინც სიკვდილით ასახელეთ სამშობლო თქვენი, ვაშა თქვენ ვინც უკვდავ გმირებათ, შეუდრეკელ ჯებირებათ ევლინებით ტურფა საქართველოს ლამაზ თავისუფლებას. ჩვენ მუხლს ვიდრეკთ თქვენს წმინდა საფლავთ წინაშე და ფიცსა ვსდებთ ქართულს არ ჩავაგოთ ხმალი, სანამ უკანასკნელ ქართველის ძარღვში სისხლი არ დაიწრიტება, სანამ თქვენი ლამაზი სამშობლო გამარჯვების დროშას აიფრიალებდეს, ჩვენ ასე გვიბრძვია ასე ვიბრძოლებთ და არც ერთ მტერს ძალუძს ჩვენ იარაღი დაგვაყრევინოს ვიდრე საქართველოს სისხლიანი საუკუნეები ლამაზ გმირთა სახელებით იჭედება!

იდიდე საქართველო! მარადი ხსოვნა თქვენს წმინდა აჩრდილთ! ყოველივე საქართველოსათვის

ა. გ.

---

## სილოვან ხუნდაძე.

საქართველოდან მიღებულ ცნობით ქ. ქუთაისში გარდაიცვალა ცნობილი საზოგადო მოღვაწე, ქართული საქმის უანგარო მსახური—სილოვან ხუნდაძე. განსვენებულის აქტიური მოღვაწეობა ეკუთვნის იმ ხანას, როცა ჩვენში გაბატონებული რუსეთის მონარქისტული რეჟიმი სასტიკად ებრძოდა ყოველივე ქართულ დაწყებას, ყოველივე ქართულ მოძრაობას. ყველამ ვიცით, თუ რა ტკივილები მიაყენა ჩვენ ერს ამ რეჟიმის რუსიფიკაციულმა პოლიტიკამ. შერყვნა და წაბილწა ქართული ადათები, ზნე-ჩვეულებანი, სარწმუნოება, დაამახინჯა ქართული ენა რომ ეს ავადმყოფობა, ეს დაავადება ღრმად, სასიკვდილოთ არ შეჭრილიყო ჩვენს ერში, საჭირო იყო რადაც არ უნდა დამდგარიყო ამის წინააღმდეგ ბრძოლა. ქართული საზოგადოების მოწინავე ნაწილმა იკისრა ამ რუსული გავლენის ჩვენში თუ არა სავსებით მოსპობა მინიმუმამდე შემცირება მაინც. და ერის მოწინავეთა რიგებში სილოვან ხუნდაძეს უჭირავს ღირსეული ადგილი.

სილოვანმა შეიძულა მთელი თავის არსებით, რუსეთი, რუსული სიტყვა და ყოველივე რაც კი რუსულ ელფერს ატარებდა. ის ორგანიულად ვერ იტანდა რუსულ ბატონობას და რუსეთის ჩინოვნიკებს საქართველოში რუსული გავლენის განმამტკიცებელთ. მისი აღშფოთებული სული და გულწრფელი სიყვარული საქართველოსადმი ვერ ურიგდებოდა რუსულ ინტერვენციას ქართულ საქმეში. ამ მხრივ მეტად მკაცრი და შეურიგებელი იყო. მოვიგონოთ სილოვანის, ქუთაისის სათავად-აზნაურო გიმნაზიის ინსპექტორობის დროს, შეტაკება კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის წარმომადგენელთან კორიცკისთან; სილოვანს გამოცდების დროს მასთან მოუხდა ლაპარაკი, რადგან მოწაფეებმა რუსული «საკმაოდ» არ იცოდნენ. მეორე დღეს როცა კორიცკი გამოცხადდა საგამოცდო კომისიაში სილოვანმა მას ხელი არ ჩამოართვა და არც დაელაპარაკა, ინციდენტის შედეგათ რუსეთის მთავრობლობა აპირებდა გიმნაზიის დახურვას, მაგრამ ვერ გაბედა რადგან იცოდა რომ გიმნაზიის მთელი მასწავლებელთა კოლეგიები და მოსწავლეები როგორც აგრეთვე ქართული საზოგადოებრივი აზრი იყო სილოვანის მხარეზე. ამ ინციდენტის გამო ქუთაისში შეთხზეს სასიმღერო ლექსი რომლითაც დასცინოდნენ და ამასხარავებდნენ კორიცკის. ქუთაისის ახალგაზრდებში ეს სიმღერა მალიან გავრცელებული იყო იმ დროს.

თუნცა სილოვანი ზოგჯერ მოსწავლეთადმი მოქცევაში სასტიკი იყო, მაგრამ ის მაინც ყველას უყვარდა, მას ყველა პატივს სცემდა. მოსწავლეებზე მას ჰქონდა უდიდესი გავლენა, რადგან ახალგაზრდობა კარგათ ხედა და, რომ ის იყო საუკეთესო ქართველი პატრიოტი, უანგარო მოყვარული ქართული საქმის. იმ დროს ჩვეულებრივი ქართველის სალაპარაკო ენა მეტად დამახინჯებული იყო რუსული სიტყვებით «სტოლი» «აკოშკა» «სტაქანი» «სამოვარი» და სხვა იხმარებოდა როგორც ქართული სიტყვები და რომ გეთქვათ: მაგიდა, სარკმელი, ჭიქა, თვითმადუღებელი ბევრი ვერ გაიგებდა მის მნიშვნელობას. მოვიგონოთ ერთი შემთხვევა: სილოვანს უნდოდა ეტლში ჩაჯდომა. დაუძახა იქვე მდგომ ეტლს: «მეეტლე»! მეეტლემ არ უპასუხა; დაუძახა მეორეს, მესამეს მაგრამ ამაოდ, სანამ ვიღაცამ არ დაუყვირა «იზვოზჩიკ» გეძახიანო.

თავის გულწრფელობით მან შესძლო შეეყვარებია ქართველ მოსწავლე ახალგაზრდობისათვის ქართული ენისადმი სიყვარული და მართლაც ქართული ენის რუსული ნაგავისაგან გაწმენდა-გასუფთავების საქმეში სილოვანს უპირველესი ადგილი უნდა მიეკუთვნოს. იმ დროს ქართული საზოგადოების ცოტათ თუ ბევრათ გათვითცნობიერებულ ნაწილში მალიან გავრცელებული იყო რუსული ლაპარაკი. რუსული ენის ცოდნა ეს «განათლებულობას» «ინტელიგენტობას» ნიშნავდა. ყველა სცდილობდა რუსულად ელაპარაკა, რუსული ლაპარაკი სცოდნოდა. ქართული ლაპარაკი ეს უმეცრების და ხეპრეების საქმეთ ითვლებოდა. (აქედან გამონაკლისია, ცხადია ქართველი საზოგადოების ეროვნულად შეგნებული და მოაზროვნე მნიშვნელოვანი ნაწილი) სილოვანი ებრძოდა ეროვნულ გადაგვარების ასეთ გამოხატულებას ყოველივე საშუალებით მახსოვს ერთი წერილი ქუთაისის გაზეთში, სადაც ის სარკასტიული ტონით იხსენიებდა რუსულად მოლაპარაკე ქალებს, და მას «დედლების კურკურს» უწოდებდა.

განვლო დრომ... საქართველომ მოიპოვა დამოუკიდებლობა, ქართულ ენას მიეცა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა და განვითარების საშუალება... 1921 წელი კვლავ რუსეთის გაბატონება საქართველოზე,—ეროვნული შეგნების და თავმოყვარეობის ამოხეთქა და გაშლა. დღეს ურწმუნო თომათთვისაც კი აშკარაა, რომ ქართული სულის, ქართული ენის განვითარებას ვერავითარი ძალა ვერ შეაჩერებს ჩვენში, მაგრამ ამ მხრივ კიდევ

ბევრია გასაკეთებელი. ძველი ავადმყოფობა — რუსული გავლენა კიდევ ბევრშია დარჩენილი, აქ ემიგრაციაშიაც აქვს ზოგს სიმახინჯეს ადგილი. ბევრს ქართულ ოჯახებში აქ საფრანგეთშიც ისმის ეხმით რუსული ლაპარაკი. აღვნიშნოთ რამოდენიმე დამახასიათებელი შემთხვევები: 1—ახალგაზრდა რომელმაც საფრანგეთში უნივერსიტეტი დაამთავრა ამბობს: «ჩემთვის სრულიად სავალდებულო არ არის ქართული ლაპარაკი, როცა მე უკეთ შემიძლია ჩემი აზრი ფრანგულად ან რუსულად გამოვსთქვა. — 2—არის ერთი პოლიტიკური მოღვაწე ქართული ლიტერატურის მცოდნე. ისეთ წრეში სადაც ქართული ყველამ იცის, და რუსული ლაპარაკის საჭიროება არ არსებობს ის უფრო ხშირად რუსულად ლაპარაკობს და რამდენი ასეთი ჩამოვთვალოთ! მაგრამ მათ უნდა იცოდნენ, რომ ესენი ახალ, ეროვნულად გათვითცნობიერებულ საქართველოს არ ეკუთვნიან. ეროვნული მშენებლობის ტალღა მათ შეუბრალებლად წალეკავს; ასეთია ისტორიის განაჩენი. უნდა იცოდნენ, რუსული ლაპარაკი დღეს მათი დეგენერაციის, გადაგვარების და ჩამორჩენილობის ნიშანია. ასეთი შეხედულება უნდა გამეფდეს საზოგადოებაში. რაც იქნება სასიკვდილო ლახვარი ამ ავადმყოფობის წინააღმდეგ. რუსულ ენას უნდა ეკავოს ჩვენში ისეთივე ადგილი როგორც სხვა უცხო ენას და კიდევ უფრო მცირე თუ ინებავთ. ეს არის ახალი საქართველოს გზა. მოზარდმა თაობამ დღეს ძალიან სუსტად იცის რუსული ენა, რაც დიდ დადებით მოვლენად უნდა ჩაითვალოს. ქართველი ახალგაზრდა მიდის წმინდა ქართული გზით რუსეთისადმი სიძულვილით და მით ასრულებს იმ ეროვნულ საქმეს რომლისთვისაც სილოვანი იღვწოდა და იტანჯებოდა. გადაგვარებული ხალხი მის ძლევამოსილ, გამარჯვებულ სვლას ვერ შეაჩერებს. ქართული ენის გაფურჩქვნა, აყვავება, ქართული ოჯახის რუსული სიბინძურისაგან გაწმენდა არის საუკეთესო გვირგვინი სილოვანის საფლავზე და აკი განსვენებულს ეთქვა უკანასკნელ წუთებში: «არც გვირგვინი მომიტანოთ და არც სიტყვა წარმოსთქვათ ჩემს საფლავზე-ო»...

ყოფილი მოწაფე.

## მარტივი საუბარი.

ჩვენ ხშირად ვწერდით თეთრი გიორგის ფურცლებზე, რომ არც ერთ ელემენტს რუსული საზოგადოებისას, არც ერთ პოლიტიკურ პარტიას არა სურს და არც შეუძლია იყოს საქართველოს დამოუკიდებლობის მომხრე, ვინაიდან არც პოლიტიკურ პარტიათ, არც ინდივიდუალურ ნებისყოფას რა ძლიერიც არ უნდა იყოს ის, არ შეუძლია უკუაგდოს თავის ერის ისტორიული და ნაციონალური პოლიტიკა.

როდესაც ჩვენ ამ ელემენტარულ ჭეშმარიტებას ვამბობთ, ჩვენი ეგრეთ წოდებული პოლიტიკოსები 1) ემარჯვენე თუ 2) ემარცხენე განაპირიდან დაგვცინოდნენ და ამას ყურადღებას არ აქცევდნენ.

პირველნი სცდილობდნენ დაემტკიცებიათ, ჩვეული დემაგოგიური ლოგიკით, რომ თუ კერენსკი-დან-აბრამოვიჩი და კომპანია გაბატონდებიან, ისინი მისცემენ საქართველოს დამოუკიდებლობას-ო. მეორენი მისტერიულად ყურში ჩაგვჩურჩულებდენ რომ დიდი მთავარი ნიკოლაევიჩი მზად არის აღიაროს ჩვენი ქვეყნის თავისუფლება-ო. ჩვენ უნდა გულწრფელად ვაღიაროთ რომ ყველაფერი ეს მეტად გვაღონებდა და გვაწუხებდა, ვინაიდან ჩვენ ვიცოდით, რომ ამ გზის პოლიტიკოსებისაგან იყო დამოკიდებული ნაწილობრივ მაინც ბედი, ბედი ჩვენი ქვეყნისა, რომელნიც მიუხედავად მრავალ მწარე გაკვეთილთა ვერ ხედავდენ ჭეშმარიტებას და რაც უფრო მწარეა შეიძლება არც კი სურდათ დაენახათ ის. ჩვენ უცდით მოთმინებით რომ მდგომარეობა გაამართლებდა ჩვენს შეხედულებას, რაც უკვე დღეს მომხდარი ფაქტია.

ამ უკანასკნელ 5—6 თვის განმავლობაში მილიუკოვ, კერენსკი და რუს სოციალ დემოკრატთა გამოლაშქრებამ პრესაში აშკარად და ნათლად დაანახა ყველას თუ როგორ ესმით ამ ვაჟბატონებს საქართველოს დამოუკიდებლობა.

ამის შემდეგ ჩვენს შეხედულებას იზიარებს ყველა ქართული წრე და განსაკუთრებით ზემოაღნიშნული ჩვენი პოლიტიკოსები ისე კაიმსჭვალნენ ამ აზრით, რომ ჩვენი იდეების პიონერებათ მოაქვთ თავი.

სხვათა შორის ჩვენ აქ მათი გასამართლება არა გვსურს, ბევრია კიდევ ჩვენი სხვა იდეები, რომელსაც ცხოვრება თავისი ურდევალი ლოგიკით მათ მიაღებინებს და ქედს მოახრევინებს.

ამ წერილის დანიშნულება არ არის ჩვენი გამარჯვების აღნიშვნა, არამედ ჩვენ გვინდა ჩვენს მთავრობას და ეგრეთ წოდებულ მთლიან ფრონტს კიდევ ერთი რჩევა მივცეთ.

ზემოაღნიშნულ რუს ვაჟბატონთა წერილებს ჩვენი მთავრობის და მთლიანი ფრონტის წევრებმა უპასუხეს რუსულ პრესაში და რუსების მიერ გამართულ კრებებზე.

ჩვენ ვამბობთ: არ შეჰფერის არც ერთ ჭეშმარიტ ქართველს, განსაკუთრებით მთავრობის თუ მთლიან ფრონტის წევრს იმდენად თავი დაიმციროს რომ სამშობლოს მტრებს ეკამათონ და მათ კრებებზე მათთან ერთად საქართველოს უფლებებზე იმსჯელონ. გარდა იმისა რომ ასეთი საქციელი სამარცხვინოა, იგი იმავე დროს არა სასარგებლოა, ვინაიდან არავითარ არგუმენტაციას, არავითარ ორატორულ მჭერმეტყველობას არ შეუძლია გავლენა იქონიოს ამ რუს ვაჟბატონებზე მონარქისტებზე თუ სოციალისტებზე. ეს მხოლოდ სერიოზულ ხასიათს უკარგავს და ამცირებს როგორც მთავრობას, ისე პოლიტიკურ პარტიებს. ჩვენ უფრო შორს მივდივართ.

წარმოვიდგინოთ თუ გნებავთ რომ ამ მონარქისტ თუ სოციალისტებმა, რომელნიც გამოექცნენ თავის ქვეყანას და თავის ხალხს, საქართველოს საკითხს სიმპატიით მოეპყრნენ, ღირებულება ამ სიმპატიისა იქნებოდა უფრო მავნე ვინემ სასარგებლო, ვინაიდან ერთხელ კიდევ ჩვენი ქვეყნის ბედი ამ მტრის ბედს დაუკავშირდებოდა, საქართველოს საკითხს რუსეთის ორბიტში მოათავსებდა, მაშინ როდესაც საჭიროა პირიქით და ამას მოითხოვს ჩვენი ერის ნაციონალური ინტერესი რომ გარკვეული სამზღვარი არსებობდეს რუსეთსა და საქართველოს შორის, რომ ჩვენმა ხალხმა იცოდეს ერთხელ და სამუდამოდ სად თავდება საქართველო და სად იწყება რუსეთი. არის თუ არა სხვა საშუალება ქვეყნის მტრისაგან დასაცველად?

სწორედ ამ გაუგებრობას რგავდნენ და ანვითარებდენ 35 წლის განმავლობაში ჩვენი სოციალისტები, ამით მათ წაართვეს ჩვენ ერს თავდაცვის საშუალება და დაღუპეს.

ნუ თუ ჩვენი სოციალისტები— მთლიანი ფრონტით ისევ ძველ გზას დაადგებიან? ნუ თუ კვლავ განაგრძობენ ანტიეროვნულ როლის თამაშს?

ზემოაღნიშნულ რუსულ წრეთა თანაგრძნობა ჩვენი საკითხისადმი კიდევ მით არის არა სასარგებლო და უმნიშვნელო, რომ არც ერთ ამ პოლიტიკურ პარტიათ, არც რუსეთის ერს მთლიანად თავიანთ ნების და მიხედვით თავის ქვეყნის ბედის შეცვლა არ შეუძლია და არც ლოგიკური მსვლელობის გადახვევა.

რუსეთი განწირულია ისტორიის მიერ დაცემა დანაწილებისათვის, რაც ნაწილობრივ უკვე მომხდარია დღეს ბოლშევიკების ბატონობის ქვეშ.

ამის შემდეგ ჩვენ გვაქვს სრული უფლება უთხრათ ჩვენს პოლიტიკოსებს: რომელი ძალა და ინტერესი გიზიდავთ კიდევ ამ აბრამოვიჩ—დან—კერენსკისაკენ? არის ეს ძალა მეგობრობის თუ პირადი ინტერესის?.— ვინაიდან ეროვნული ინტერესი წინააღმდეგს მოითხოვს! მაგრამ მოვითმინოთ კიდევ, რადგან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ცხოვრება თვით იკისრებს თქვენ ჭეშმარიტება მიგაღებინოთ.

ღრმას მხედველობის მაგიერ სმენა უნვითარდება, ანალოგიურ მოვლენას ვხედავთ ჩვენ სოც. დემოკრატებში. სად და რეალურ იდეოლოგიას მოკლებულთ ცბიერება და ვერაგობა განუვითარდათ.

უნდა ვაღიაროთ, რომ ისე ოსტატურად გამოიყენეს ეს ცბიერება და ვერაგობა, რომ სავსებით მოატყუეს ქართველი ხალხი და გაბატონდნენ ჩვენს ქვეყანაში. მთელი 35 წლის განმავლობაში სოციალ დემოკრატები აწარმოებდენ პროპაგანდას საქართველოს რუსეთთან მთლიანობისათვის, იმიტომ რომ მათ იცოდენ, ამნაირად მათ ეყოლებოდათ ზურგს უკან მთელი რუსეთის სოციალისტური ორგანიზაციები და ამ ორგანიზაციათა დახმარებით მათ შესძლეს ჩვენში ყოველგვარი ეროვნული მოძრაობის განელება. ყოველგვარ პატრიოტულ იდეების დასამარება და თავიანთი მოქმედება ილია ჭავჭავაძის მოკვლით დააგვირგვინეს, ჭავჭავაძე, რომელიც არის ცოცხალი სიმბოლო საქართველოსი და ყველაფერი ეს პარტიულ ეგემონიისათვის.

მაგრამ როდესაც ისინი ბოლშევიკებმა გამორეკეს რუსეთიდან და რუსეთის ცენტრალისტულ რესპუბლიკის იდეა ვერ განხორციელდა, მათ სხვა სიმღერა დაიწყეს საქართველოს დამოუკიდებლობა, ვინაიდან სხვანაირად: მათთვის შეუძლებელი იქნებოდა დამოუკიდებელ საქართველოში ბატონობა. საჭირო იყო მდგომარეობას შეგუებოდნენ და ყველამ კარგად უწყის რა მოხერხებულნი არიან ჩვენი ქამელეონები ამ შემთხვევაში და როგორ 35 წლის განმავლობაში რუს სოციალ დემოკრატთა დახმარებით შესძლეს გაბატონებულ პარტიათ გამხდარიყვნენ საქართველოში, ისევე ამავე ბანდიტ და კაცისმკვლელ რუსთა დახმარებით, რომლებმაც ლაჩრულად მიატოვეს ბრძოლის ველი, 1918 წელს მათ შესძლეს ჩვენი ქვეყნის სვე-ბედის ხელში ჩაგდება — რა შედეგებამდე მიგვიყვანა მათმა ბატონობამ ყველამ ვიცით, ამაზე შეჩერება ზედმეტია.

რაც მოხდა მისი გამოსწორება არ შეიძლება, ეს მხოლოდ უნდა გამოვიყენოთ გაკვეთილად. საჭიროა მხოლოდ ჩვენი ერი გაუფრთხილდეს ს. ც. დემოკრატების ცბიერებას და თვალთმაქცობას. ამ წერილის მიზანია სწორედ ფარდა ახადოს სოც. დემოკრატების ამ თვალთმაქცობას და ნათლად აჩვენოს ყველას, ვინც კარგად ვერ ხედავს.

როდესაც ჩვენი სოც. დემოკრატები დარწმუნდნენ რომ სოციალისტური დოგმები ყველგან გაკოტრდა და განსაკუთრებით კი საქართველოში, რომ ჩვენი ერისათვის შეუძლებელია მარქსისტულ მენიუს ხელახლა მიწოდება, ისინი სხვა საუზმის მზადებას შეუდგნენ. დღეს მათ სურთ დემოკრატიულ იდეების ექსპლოატაცია და ამ ნიადაგზე სასტიკ ბრძოლას უცხადებენ სხვა პოლიტიკურ პარტიათ. სწორედ ამ მიზნისათვის არის რომ მათ ჟურნალ გაზეთებში პირველი ადგილი ეთმობა დემოკრატიზმს და სოციალიზმს კი მეორე ხარისხოვანი.

ჩვენთვის თეთრ გიორგელებისათვის, ამას არა აქვს დიდი მნიშვნელობა, ჩვენი ბრძოლის ბაზა სხვა არის, მაგრამ ჩვენ გვინდა გავაფრთხილოთ ჩვენი მეგობარი ნაც. დემოკრატები, ნაწილი იმ ნაციონალ დემოკრატებისა, რომელიც სოც. დემოკრატ. დროშას შეეფარებულან, რომ ერთად ერთი იარაღი, რომელიც მათ შერჩათ ხელში დემოკრატიზმი— თუმცა ძველი და ჩლუნგია, მაინც არ უნდა დაუთმონ სოც. დემოკრატებს.

საჭიროა ვაცნობოთ ჩვენს საზოგადოებას, რომ ამ შემთხვევაშიც, როგორც ყოველთვის სოციალ დემოკრატები ცხვრის ტყავში გახვეული მგლები არიან.

საზოგადოების ნაწილებად დაყოფით და სამოქალაქო ომის ქადაგებით, ჩვენი სოციალისტები არიან ჩვენი ერის მტრები, მომხრე პარტიის დიქტატურისა დამყარებული მალადობაზე და ტერორზე.

რუსეთში სოც. დემ. დროებითმა გამარჯვებამ კერენსკის ისტერიული დიქტატურა მოიტანა და საქართველოში კი, ჩვენი აბდულ-ჰამიდ რამიშვილის.

ვინ იცის რა დიქტატურას უმზადებენ მომავალ დამოუკიდებელ საქართველოს ეს ვაჟბატონები, თუ ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდა პატრიოტებმა არ ალაგმეს და არ დაასამარეს მათი შავი ზრახვები.

ლ. კერესელიძე.

[უპარტიო პუბლიცისტი ბ. ვ. ემუხვარი დიდის სიამოვნებით დასთანხმდა დავბეჭდოთ ჩვენს არა პარტიულ ორგანოში, ნაწყვეტები მისი მოგონებებიდან.

მადლობას უძღვნით ბ. ვ. ემუხვარს და ვბეჭდავთ მის მოგონებას. რედაქცია.]

## ნაწყვეტები მოგონებიდან.

(მარქსიზმიდან უფლებრივ სახელმწიფოსაკენ)

მოსკოვიდან ტფილსს დავბრუნდი ივნისის პირველ რიცხვებში (1917 წ.)

იქ დავყავი დაახლოვებით ერთი კვირა. იქ სასახლის ხშირი სტუმარი ვიყავი, ვინაიდან სასახლეში ბინადრობდა ამიერ კავკასიის კომისარიატის წევრი, ჩემი პირადი მეგობარი აკაკი ჩხენკელი. ჩემთვის ძნელია იმ არევდარევის აღწერა, რომელიც იქ მეფობდა. იქ ბინადრობდა როგორც ამიერ კავკასიის კომისარიატი, აგრეთვე ამიერ კავკასიის მუშათა გლეხთა და ჯარისკაცთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი. სასახლის კომენდანტი კაპიტანი დავით ქარცივაძე იყო (1924 წ. დახვრეტილ იქმნა კომუნისტების მიერ) ერთ დღეს სასახლეში ფრიად საინტერესო და დამახასიათებელ შემთხვევის მოწმე გავხდი. აკაკი ჩხენკელი და მე ვიყავით ერთად მის (ჩხენკელის კაბინეტში) ამ დროს ტელეფონით ამიერ კავკასიის კომისარიატის თავჯდომარემ «ხარლამოვ-მა» დაუწყო ლაპარაკი, «ხარლამოვი-ს» ზოგი სიტყვები მესმოდა, ეტყობოდა ძალიან აღელვებული იყო. საქმე შემდეგში მდგომარეობდა: მკითხველმა, თუ იგი ტფილისში იყო, ალბათ იცის, რომ ტფილისს ერთი თვალსაჩინო ნაკლი აქვს: შიგნით ქალაქში არ არსებობს დიდი ბაღი, გარდა ალექსანდრეს ბაღისა. ქალაქში დიდი ბაღის არსებობას ჩვენში დიდი ფინანსიური მნიშვნელობა აქვს საქველმოქმედო საზოგადოებათათვის, ვინაიდან საქველმოქმედო მიზნით ბაღში გამართული სეირნობა კარგ შემოსავალს იძლევა. ამიტომ რევოლიუციის ერთ ძვირფას მონაპოვარს ტფილისისათვის სასახლის ბაღი წარმოადგენდა, ვინაიდან შესაძლებელი გახდა საზოგადოებრივ მიზნებისათვის ამ ბაღით სარგებლობა. მხოლოდ საჭირო იყო სეირნობის გამართვისათვის ამიერ კავკასიის თავჯდომარის «ხარლამოვი-ს» ნებართვა. «ხარლამოვი» კი უარს არავის ეუბნებოდა. რუსულმა და სომხურმა საზოგადოებებმა ისარგებლეს ბაღით, გამართეს რა «ხარლამოვი-ს» ნებართვით სეირნობა. ჯერი ქართველებზე მიდგა. წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მთავარ გამგეობის თავჯდომარემ, ღენერალ ყაზბეგმა, მიმართა სათანადო შუამდგომლობით «ხარლამოვს» და მიიღო უკანასკნელისაგან ნებართვა ბაღში სეირნობის გამართვის, აქ კი საქმეში მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ჩაერია და ვეტო დაადვა. კომიტეტის ხელმძღვანელნი კი ქართველები იყვნენ და მათში პირველი ადგილი ნ. ჟორდანიას ეჭირა. კომიტეტმა გადასწყვიტა რომ არც ერთ კერძო საზოგადოებას უფლება არ უნდა მიეცეს ბაღით ისარგებლოს და იგი მხოლოდ რევოლიუციონურ მიზნებისათვის უნდა იქმნეს გამოყენებული-ო. ამ დადგენილებით უქმდებოდა «ხარლამოვი-ს» მიერ ქართულ საზოგადოებისათვის მიცემული ნებართვა. მაშინ ორი საქართველო არსებობდა — საქართველო სოციალ-დემოკრატიული, რომელსაც ქართულ კულტურა — ისტორიასთან და ტრადიციასთან საერთო არაფერი ჰქონდა, თვით სახელწოდება ქართული არ უტარებია არც ერთ მათ ორგანიზაციას და ე. წ. მეორე საქართველო, საქართველო სადაც სჩქეფდა ნაციონალური სული, საქართველო რომელიც სცდილობდა შეენახა ქართული კულტურა, საუკუნოებით გარდმოცემული წარსულ შემოქმედების ნაშთები,

ეროვნულ საქართველოს არსებობის უაღრეს ფორმას, ქართულ კულტურის მთავარ ცენტრს, მის უძვირფასეს ლამპარს სწორედ ქართული წერა კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება წარმოადგენდა. დიდი ენერგია დახარჯეს საქართველოს საუკეთესო შვილებმა, რათა შეენახათ ეს ცენტრი სიდიადის, დემოკრატიულ იერიშებისაგან.

წერა კითხვის საზოგადოების მიერ სასახლის ბაღში გამართული სეირნობა იქნებოდა გრანდიოზული ქართული კულტურისათვის პატრიოტული დემონსტრაცია ქართველებისათვის, ამას კი მუშათა დეპუტატების საბჭოს მეთაური ქართველი სოციალ-დემოკრატები ვერ მოინელებდნენ.

(გაგრძელება მეოთხე გვერდზე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სამხედრო ჟურნალი

ვაჟკაცსა გული რკინისა, აბჯარი უნდა ხისა—ო.

დიდება სამშობლოსათვის გაწირულთ! დიდება მებრძოლ საქართველოს!

## დისციპლინა.

### დისციპლინა, სული ჯარისა.

1870—71 წლებში გერმანელების გამარჯვებამ გამოიწვია საერთო სურვილი, მგრეთ წოდებული, შეიარაღებული მსოფლიოს შექმნისა. ევროპამ იწყო შეიარაღება და გაძლიერება თავის ჯარების. გერმანელების გამარჯვებას აწერდნენ მათი ჯარის მშვენიერ ორგანიზაციას და როგორც ეს ხდება ასეთ შემთხვევაში ყველამ გერმანელებს წაჰბაძა: ევროპა გადიქცა საერთო სამხედრო ბანაკად. სიმძიმე სამხედრო სამსახურისა ვრცელდებოდა მეტსა და მეტ რიცხვზე ადამიანების ერთის მხრივ და მეორის მხრივ კი მცირდებოდა ვადა სამსახურისა 7, 5, 3, 2 წელი, რომ ამით შექმნათ დიდი რიცხვი გაწვრთნილი ჯარისკაცთა. სამსახურის ვადის შემცირება შესაძლებელი შეიქმნა იმდენად რამდენათაც გონებრივი განვითარება მცხოვრებთა ამა თუ იმ ქვეყნისა ამაღლდა და შეგნება მოვალეობისა და დისციპლინისა შეიჭრა და დამყარდა მათ გონებაში.

რამდენადაც მოკლეა ვადა სამხედრო სამსახურიაა იმდენად მნიშვნელოვანი და საიმედო უნდა იყოს კადრი. ჭეშმარიტება რომელიც ქართული ჯარების შედგენის დროს სრულიად არ იყო ყურადღებული. მაგალითისათვის გერმანია ავიღოთ: სადაც ომამდე 140 000 მტატზედ მეტი ზემდეგი იყო. დისციპლინა ევროპის ყველა არმიებზე უფრო მაღლა იდგა.

ჟამით—ჟამამდე სათადარიგო ჯარის კაცთა გაწვევა, მათ რიგებში ამტკიცებდა გრძნობას მაღალი მოვალეობის შეგნებისა და აცხოველებდა მათ ხსოვნაში სამსახურის ვალდებულებას; რადგან სათადარიგო ჯარისკაცნი მიდიოდნენ თავიანთ რაზმებში, ამ ხშირი დამოკიდებულებით თავის რაზმთან, მათსა და რაზმს შორის მყარდებოდა ერთგვარი ნათესაური განწყობილება და ყოველი მათგანი აფასებდა თავის რაზმს. ასეთი აღზრდის შედეგები უნდა გამოჩენილიყო და სწორედ ბრძოლები ღებულობდა მეტად მედგარსა და გააფთრებულ ხასიათს.

პირველი დივიზიები სადაც კადრები ძველი იყო ინგლისის არმიისა, არ ჩამოუვარდებოდნენ სხვა და სხვა ქვეყნის ჯარებს. როდესაც ახალ—ახალი ელემენტები გამოენაცვლა, მათ ნაკლებათ შესძლეს განსაცდელის ატანა და ამ წესის გ. ი. კადრების ყოლის დაზოგვა ძვირად დაჯდა. ახლად შედგენილ ჯარებს აკლდათ ცოდნა და გაწვრთნილება, შინაურული შეთანხმება, შეკავშირება და დისციპლინა.

ჩვენთვის საინტერესო საკითხზედ მეტიცარიელ ჯენ. ვილლეს მოჰყავს ერთი აზრი. მსოფლიო ომის გამოცხადებისთანავე, თავის საზღვრების დასაცავად შვეიცარიამ გამოაცხადა მოვილიზაცია თავის მილიციონურ არმიისა. ამ ჯარს არ შეეძლო არც ერთი მეომარ ჯარისათვის გაეწია წინააღმდეგობა, რადგანაც ისინი არ იყვნენ შინაურულად დაკავშირებულნი ერთმანეთში. დიდი დრო დასჭირდათ იმისთვის, რომ ისინი გარდაექმნათ ომის წარმოების შემძლებლად. ქართული სახალხო გვარდია, რომლის თვითეული წევრი, თუნდაც საუკეთესო მებრძოლი ყოფილიყო, შეერთებული არ წარმოადგენდა სამხედრო ძალას, რომელიც შესძლებდა თავდამსხმელთათვის მედგარი წინააღმდეგობის გაწევას. დედა ძარღვი კადრია: რამდენადაც ეს კადრები მრავალრიცხოვანი რა საიმედოა მით უფრო მარჯვეთ ამოქმედებენ საჭირო დროს.

სათადარიგო ჯარისკაცები, გან.აკუთრებით უფრო ახალგაზრდები, მიჩვეულნი დისციპლინას, რომელიც მათში ხალისდება ხშირ—ხშირი გაწვევით და განმეორებით, იძლევიან საშუალებას ადვილად და სწრაფად გაწრთვნისა ახალი ჯარის ნაწილებისა და თვით ამ ახალგაზრდათა შორის მყარდება მტკიცე კავშირი, ერთნაირი აზროვნება და ერთნაირი ნებისყოფა. დრო რაც სჭირდება ეს სრულიად დამოკიდებულია რიცხვზედ და ღირსებაზედ კადრისა და თვით სათადარიგო ჯარისკაცთა რიცხვზედაც. ჯარის ნაწილების მომზადებაზედ არის დამოკიდებული მათი გამოყენება ბრძოლაში. რეზერვის ნაწილებს ფრთხილად უნდა მოპყრობა და დაზოგვა განსაცდელისაგან. გერმანელები მაგალითად ომის პირველ ხანებში, განსაკუთრებით დასავლეთის ფრონტზედ, აქტიურ ოპერაციებს აწარმოებდენ საველე ნაწილებით, მაშინ როდესაც პასიურ მიდამოებზე ჰყავდათ რეზერვის ჯარები. უმრავლეს შემთხვევაში საველე ჯარები აწარმოებდნენ ბრძოლებს და მხოლოდ შემდეგ მათი მოსპობისას რიგებში სდგებოდნენ რეზერვის ნაწილები.

ჯარის ნაწილები, რომელთაც აქვთ მყარი ტრადიციები, არ უფრთხიან დიდ ზარალს და მათი შემესები ჯარისკაცნიც ხდებიან ასეთივე მედგარი.

ამერიკელთა ჯარის ბრძოლაში ჩაბმასაც ის აბრკოლებდა რაც ინგლისელებისას: ეს დაბრკოლება იყო საკმარისი კადრის უყოლობა. შემდეგ იმისა რაც ამერიკამ ომი გამოუცხადა გერმანიას აპრილში 1918 წელს, საფრანგეთში იყო 5—6 დივიზია არა საკმარისად მომზადებული. დათქმული იყო ასე, სათითაოდ ჯარისკაცების გაწვრთნა ამერიკაში უნდა მომხდარიყო, შედგენა ნაწილებისა და მათი წვრთნა საფრანგეთში. მზადება გრძელდებოდა 5—მ თვე, ამის შემდეგ ნაწილები იგზავნებოდა პასიურ მომზადებაში და თანდათანობით უახლოვდებოდნენ ბრძოლის ასპარეზს.

18 წლის გაზაფხულზე გერმანელების შეტევამ, ძლიერ ცუდ დროს მოუსწრო მოკავშირეებს და მოითხოვა ამერიკელების დიდი შრომა. ამერიკიდან ჯარების გადმოყვანა გაძლიერდა: ნაცვლად 20 000 ჯარისკაცისა, რომელიც ამერიკელებს გადმოჰყავდათ თვეში ერთხელ. პირველს ოთხ თვეში გადმოსხეს 300 000. პროგრამა სწავლებისა იყო შემოკლებული. მიუხედავად იმისა, რომ ღენ. პერშინგმა რაინდულად შესთავაზა თავის ძალები ღენ. ფოშს, და რადგან ახალი ძალები ძლიერ საჭირო იყო, განსაკუთრებით ინგლისელებისათვის და თვით ამერიკელებსაც მეტად სწყუროდათ ბრძოლა, შესაძლებელი დარჩა მხოლოდ ერთი დივიზიის ბრძოლაში ჩაბმა და სამს დივიზიას ჩიუჩინეს პასიური მიდამოები. 18 ივლისს ამერიკლები მედიან ბრძოლაში ჯერ ორი ბატალიონით, შემდეგ 7 დივიზია.

პირველ აგვისტოს 30 დივიზია საფრანგეთში 1 455 000 ჯარის კაცი. 24 ივლისს პირველი ამერიკული არმია ღებულობს საკუთარ საომარ სექტორს "Saint Mihiel" იერიშისთვის და ამ დავალებას ასრულებს ღირსეულის გამარჯვებით.

გრძნობა მოვალეობის და შეგნება დისციპლინისა განვითარებული ჰქონდა ამ ერს, საჭირო იყო 18 თვე, რათა შექმნილიყო სულსა და ნებისყოფის სრული შეთანხმება ჯარისკაცთა შორის, რაც ესოდენ აუცილებელია კეთილმოწყობილ ჯარისათვის. როდესაც ღენ—ვიტჩენერს ჰკითხეს როდის გათავდება ომი-ო მან უპასუხა, რომ ინგლისის ჯარი მზად იქნება საომრად მხოლოდ ორ წლის შემდეგ-ო. ჩვენ განზრახ შევჩერდით ამ საკითხზედ, ამერიკულ ჯარის შექმნაზედ და ვისარგებლეთ ღენ, Morgin -ის ცნობებით «Des hommes et des faits». რომ ნათელვეყო სიძნელე ამ კითხვისა. თითქოს ყველაფერი ზემოთ თქმული ეწინააღმდეგებოდეს იმ აზრს რომ გაუთვითცნობიერებელი ტლუ სოფლელს შეიძლება შეასწავლო საჭირო სამხედრო ხერხები 3—4 თვეში, მაგრამ ჯარისკაცად მაინც ვერ შექმნათ.

სამხედრო აღზრდა მხოლოდ იმაში არ გამოიხატება, რომ განავითარო ჯარისკაცში რეფლექსიები მორჩილებისა გ. ი. ძალით ასწავლო საშიშროების მოახლოვებაზედ ბრძანების ასრულება მისი უფროსისა. უფროსის ბრძანება უნდა აყუჩებდეს თავდაცვის გრძნობას შიშით გამოწვეულ კერძო მებრძოლ პიროვნებაში. ხშირად განმეორებულ ვარჯიშობით მშვიდობიანობის დროს ამის მიღწევა შეიძლება; ამას გერმანელები Mitt უწოდებენ. მაგრამ ეს არ არის მთავარი სამხედრო აღზრდის საქმეში, მიზანი დისციპლინისა ის არის, რომ უნდა ისე აღზარდო ჯარისკაცი, რომ მან ნებაყოფლობით დაუმორჩილოს თავის ნებისყოფა უფროსის ბრძანებას.

დანიშნულება სამხედრო ნაწილისა არის ჯარისკაცთა აღფრთოვანება ერთვნულ იდეით, ერთის მიზნით. ასეთი ნაწილი ძლიერია ისეთზედ, რომელიც მხოლოდ პასიურად ასრულებს თავის უფროსის ბრძანებას.

სოციალური დისციპლინა, საფუძველი ცივილიზაციისა, გაჩნდა იმ წამშივე, როგორც კი ადამიანებს დასჭირდათ ერთად ცხოვრება. სამხედრო დისციპლინა გაჩნდა იმ წამშივე, როგორც კი ადამიანემა იწყეს თავისმოყრა საომრად. თანამედროვე ომში არსებობს ორივე დისციპლინა, ორივე დაკავშირებულია ერთმანეთთან ვინაიდან თანამედროვე ომი არის ომი ერთა შორის. ყველაფერი დასახული მიზნისათვის; ყველაფერი სახელმწიფოს სამსახურისთვის, მთელი ქვეყნის ცხოვრება მოწესრიგებულია ამ ფარგლებში. ასეთი ორგანიზაცია საზელმწიფოს და ამასთან რთული საშუალებანი, მოითხოვს კიდევ უფრო მეტს დისციპლინას.

ერი ამდგარი თავის დამოუკიდებლობის და უფლების აღსადგენად, მოითხოვს ფრიად მცოდნე და გაწრთვნილ უფროსებს. ოფიცრებს მუდმივი სამსახურისას მოეთხოვება მეტად ბევრი და მათი მოვალეობა ხდება უფრო ვრცელი და დიდი. ცხადია ამათ უნდა ჰქონდეთ მაღალი ტექნიკური მომზადება, რათა ჰქონდეთ პატივისცემა და ავტორიტეტი ქვეშევრდომებში. სამხედრო დისციპლინის ფორმები სხვა და სხვა გვარია და დამოკიდებულია ეროვნულ თვისებებზედ, ხოლო მიზანი ყველგან ერთია: მიღწევა სრულიად უცილოვლივ ბრძანების შესრულებისა ჯარისკაცისაგან თავგანწირვას საერთო საქმისათვის. როგორც მომავალში ისე აწმყოშიაც დისციპლინა რჩება მთავარ საფუძვლად ჯარისა.

ღენერალი ა. ერისთავი.

## საქართველოს ომები და აჯანყებები.

### (ღენერალ კვინიტაძის მოხსენების გამო)

სტუდენტთა კავშირის მოწვევით საქართველოს ყოფილმა მთავარ სარდალმა ღენერალ კვინიტაძემ გააკეთა რამოდენიმე მოხსენება პარიზის ქართულ საზოგადოებაში შესახებ ომებისა და აჯანყებებისა რომელსაც ადგილი ჰქონდა საქართველოში დამოუკიდებლობის დროს 1918—1921 წელს.

მოხსენების შესავალში ღენ. კვინიტაძემ მოიგონა თუ როგორ უნდობლად უცქეროდა რუსეთის ადმინისტრაცია ქართველ ოფიცრობას მიუხედავად იმისა, რომ ქართველი ოფიცრობა მუდამ დიდ სამსახურს უწევდა რუსეთის მხედრობას. ამავე დროს სომხეთი რუსეთის მთავრობის განსაკუთრებული მფარველობით სარგებლობდა და დიდი ომის დაწყებისას 1914 წ. მათ დართეს ნება შეედგინათ სომხური ნაციონალური რაზმები (დროს რაზმი, ანდრონიკის, ამაზასპის, კურის და სხვების)

ქართველი ოფიცრების უმრავლესობა რომელნიც გაფანტული იყვნენ რუსეთის უზარმაზარ ტერიტორიაზე იქ როგორც უცხოეთში ისე გრძნობდნენ თავს. თვალი მაინც საქართველოსაკენ ეჭირათ და მათი სურვილი იყო კავკასიაში და საქართველოში ემსახურათ. დიდი იყო რუსული გავლენა ართველ ოფიცრებზე, ზოგმა ქართული ენაც კი არ იცოდა, მაგრამ არასდროს მათ არ ავიწყდებოდათ რომ ქართველები იყვნენ და საქართველოს სიყვარულს მაინც გულში ატარებენ. ღენერალ კვინიტაძემ გაიხსენა ერთი შემთხვევა მისი პირადი ცხოვრებიდან, როცა ის ახალგაზრდა იუნკერი შეხვდა ერთ უბრალო ქსნის გლეხს. ლაპარაკის დროს გლეხმა მიმართა მას ასეთი სიტყვებით: «კარგათ ისწავლე რომ შევსძლოთ აქედან მტრის—რუსეთის განდევნა-ო. ქართველმა უბრალო გლეხმა, ასე შეგნებულად და ნათლად იცის თუ ვინ არის მისი მტერი.« ამ სიტყვებმა ერთის მხრივ გამაოცა და ამავე დროს მასიამოვნა კიდეც. მან დასტოვა ჩემზე ისეთი ღრმა შთაბეჭდილება, რომ მე არასდროს დამავიწყდება-ო» ამბობს მომხსენებელი.

რევოლიუციის შემდეგ ნება დართეს ქართველებს შეედგინათ მხოლოდ ერთი ცხენოსანი რაზმი ღენერალ დავით ჭავჭავაძის სარდლობით.

დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ მთავრობამ დაიწყო ქართული ჯარის შედგენა. მის განკარგულებაში იყო მრავალრიცხოვანი გაწრთვნილი და გამოცდილი ოფიცერთა დიდი კადრი, რომლის საშუალებით მთავრობას შეეძლო მტკიცე ნიადაგზე დაეყენებია საქართველოს სამხედრო თავდაცვის საქმე, მაგრამ თავიდანვე საქ. სოც. მთავრობა სრულიად უმართებულოდ უნდობლად უცქერდა ქართველ ოფიცრობამ; ამიტომ ქართულ რეგულიარულ ჯარის პარალელურად დაარსებულ იქმნა ცნობილი სახალხო გვარდია. ეს უკანასკნელი როგორც მენშევიკების პარტიული სიმაგრეების და ჰეგემონიის დამცველი დასაწყისიდანვე ჩაყენებულ იქმნა პრივილეგიურ მდგომარეობაში, ეს კი ჰქმნიდა შუღლს, ანტაგონიზმს მის და რეგულიარულ ჯარს შორის. დაინტერესებული სამხედრო პირები არა ერთხელ მიუთითებდნენ მთავრობას ამ უკუღმართ მოვლენაზე მაგრამ ამაოდ. რეგულიარულ ჯარისადმი უყურადღებობა და სახალხო გვარდიის მოქ-

მედეგის გაზვიადება იყო ერთ-ერთი მიზეზი საქართველოს სამხედრო უძლურებისა. მომხსენებელმა მოიყვანა არსენალის აღება, რომელიც მამინდელმა ქართულმა პრესამ ხულ მთლად სახალხო გვარდიას მიაწერა. ეს სიმართლეს არ შეეფერება. არსენალის აღებაში ისეთივე მონაწილეობა მიიღო რეგულიარული ჯარის ნაწილებმა როგორც გვარდიამ. ეს ისტორიული სიმართლეა და ამ მოვლენაზე დღემდე არსებული ყალბი შეხედულება უნდა შეიცვალოს.

მეორე დიდი გორტება სამხედრო ორგანიზაციის საქმეში ეს იყო გადაჭარბებული პროტექციონიზმი. მთავრობა ხშირად სხვა და სხვა საპასუხისმგებლო პოსტებზე ჯარში ნიშნავდა «თავის» კაცებს, მაშინ როც უფრო მომზადებული ოფიცრობა განზე რჩებოდა. ცხადია ჯარის ხელმძღვანელთა შერჩევისადმი ასეთი ვიწრო პარტიული მიდგომა ჰქმნიდა ერთგვარ უკმაყოფილების ატმოსფერას ოფიცერთა წრეებში.

გენერალი კვინიტაძე მიუთითებს როგორც ერთ მნიშვნელოვან ნაკლზე სამოქალაქო პირთა ჩარევას სამხედრო საქმეებში. ხშირად არა თუ მშვიდობიანობის დროს არამედ ომის დროსაც გვარდიის და მთავრობის წევრები სამხედრო საქმეში უმეცარნი «ავტორიტეტულად» ერეოდნენ სამხედრო ოპერაციების წარმოებაში და მით აფერხებდნენ გამარჯვებას ამა თუ იმ ფრონტზე. რამოდენიმე მაგალითის აღნიშვნით მომხსენებელი ნათელ ჰყოფს საკითხის ამ მხარეს.

მოიგონა რა ცალკე ეპიზოდები და ომები: მომხსენებელი უფრო ვრცლად შეეხო სომხეთთან ომს. მან სთქვა რომ ომის გამოცხადების რამოდენიმე თვის წინეთ ყველასათვის ცხადი იყო, რომ სომხეთი ემზადებოდა საქართველოზე საომრად და დაჟინებით მოითხოვდა თანახმად «ერთა თვითგამორკვევის პრინციპისა» ბორჩალოლორის და ახალქალაქ—ახალციხის რაიონების მისთვის გადაცემას. სომხებმა ერთა თვითგამორკვევის პრინციპი მეტად დამახინჯებულად და თავის სასარგებლოდ შეატრიალეს. თითქოს არ იცოდნენ, რომ ეს პრინციპი სრულებით არ გულისხმობს რომელიმე ერის ტერიტორიაზე დასახლებულ სხვა ეროვნების ხალხთათვის ცალკე სახელმწიფოს შექმნას ან კიდევ მის მოგლეჯას დედა სამშობლოს ტერიტორიიდან. ასეთი აბსოლიუტური განვითარება და თავისებური სომხური გაგება, «ერთა თვითგამორკვევის პრინციპი» ეწინააღმდეგება ყოველგვარ სინამდვილეს და საღ აზროვნებას, მიუხედავათ ამისა სომხები მას მოუხერხებულად იყენებდნენ და ნოტას ნოტაზე უგზავნიდნენ ქართულ მთავრობას, სადაც დაჟინებით და მედიდურად მოითხოვდნენ აღნიშნულ მაზრების და ოლქების მათზე გადაცემას. საქართველოს მთავრობა უპასუხებდა მეტად ფერმკრთალი საბუთიმდ ნოტე ით თითქოს გრძნობს და რომ ის მართალი არ იყო. შეიძლება კი მთავრობას სრულიად გარკვეულ და კატეგორიულ ფორმებში ეპასუხა, რომ სომხური, სპეციფიური გაგება ერთა თვითგამორკვევის პრინციპის არ შეესაბამება მის ნამდვილ აზრს და შინაარს, რომ აღნიშნული ოლქები იყო და არის საქართველოს კუთვნილება და რომ ქართველი ხალხი მას უსისხლოდ არ დასთმობს. საქართველოს მთავრობას რომ ეჩინა ასეთი მტკიცე და გადაწყვეტილი ტონი შეიძლება რომ სომხები ომის დაწყებას ვერ გაბედავდნენ, საქართველოს მთავრობის ასეთი მოქმედებით გათამამებული სომხები მოულოდნელად დაესხნენ ჩვენ მოსაზღვრე სამხედრო ნაწილებს და დაიკავეს «სადახლო» რაიონები. დაიწყო ომი... ქართული ჯარი სრულიად მოუმზადებელი იყო ომისათვის, მთავრობაც არ ფიქრობდა მასზე. ამრიგად სომხების ჯარის მოულოდნელად ჩვენს ტერიტორიაზე შემოჭრამ შექმნა მეტად საშიში მდგომარეობა. მთავრობამ მობილიზაცია მეტად დაგვიანებით გამოაცხადა და საერთოდ პირობები ომისათვის არ იყო ხელსაყრელი ჩვენთვის. შეიძლება ჩვენ დავმარცხებულიყავით, მაგრამ არსებობდა ერთი პირობა, ეს ქართველი ხალხის შელახული ეროვნული თავმოყვარეობა, სომხების ასეთი გათავხედებით. ქართველი ერი როგორც ერთი ფეხზე დადგა და სიხარულით მიეგება მობილიზაციის გამოცხადებას. ყველანი მიისწრაფოდნენ ფრონტისაკენ, რომ პირისპირ შეხვედროდნენ მტერს. განწყობა მომენტის იყო ყველასათვის ერთნაირი: ქართველ კაცს ვერ მოეთმინა რომ სომხებმა გაბედეს მასზე მოღალატური თავდასხმა. მიუხედავათ მრავალ ნაკლულოვანებათა რომელიც ჩვენი სამხედრო ძალის ორგანიზაციას ახასიათებდა. ქართველმა ჯარმა გაიმარჯვა ბრწყინვალედ და მზად იყო თვით ერევანიც დაეკავებინა რომ მოკავშირე სახელმწიფოებს არ შეეჩერებიათ ქართველი ჯარის მღელვარე სვლა. სომხების ჯარი ომის შეჩერების დროს უკვე განადგურებული იყო, ის თითქმის აღარ არსებობდა. ასეთი დიდი მნიშვნელობა აქვს პატრიოტულ აღფრთოვანებას ომში, როცა ერმა იცის მტრის მეგობრისაგან გარჩე ა-ო.

ქართველებმა ომი მოიგეს, მაგრამ საბოლოოდ ზავის დროს მან ომი წააგო, რადგან საქართველოს დიპლომატიას არ ჰქონდა არავითარი მუშაობა გაწეული. საქართველოს არ ჰყავდა მეგობრები, რომ მისთვის მხარი დაეჭირა და მიტომ ზავის მოლაპარაკების დროს მოკავშირეთა სახელმწიფონი სომხებს უფრო თანაუგრძნობდნენ ვიდრე ქართველებს. საგარეო საქმეთა სამინისტროს სუსტი მუშაობა იყო მიზეზი, რომ ჩვენ დავრჩით გარიყული, საბოლოოდ გამარჯვებისაგან ღირსშესანიშნავი ნაყოფი ვერ მივიღეთ-ო.

(გაგრძელება იქნება.)

დამსწრე.

მტერი კი მტკიცე დისციპლინით შეკავშირებული, თავ-გრუ დამსხმელ მსოფლიო ლოზუნგებით შემოსილი რომელიც მრავალ ქართველ ახალგაზრ[illegible] აბრუებს, სადაც შეუპოვრობით უთხრის ძირს ეროვნულ შენობას.

არსებული «ერთო ფრონტი» ვერც ერთ საღად მოაზროვნე ქართველს ვერ დააკმაყოფილებს.

როგორ შეიძლება მენშევიკების (თუ გინდ განახლებულების) და ნაციონალ—დემოკრატების ერთად თანამშრომლობა, იმ დროს, როდესაც ერთმანეთს ფარული შიშით შესჰყურებენ — «ჩემზე უფრო მეტად არ გაძლიერდეს და მომავალში მას არ დარჩეს ძალა-უფლებაო» და აქედანვე ზომებს ღებულობენ მეორის ორგანიზაციების თავის განკარგულების ქვეშ მოქცევისათვის (იხ. ნოე რამიშვილის წერილი) ან სადაური თანამშრომლობაა, რომ საქართველოს განთავისუფლებისთანავე ერთმანეთს უნდა დავერივნეთ ძალა-უფლების გადასაჭრელად? რომელ თანასწორობის პრინციპზედ არის აგებული ეს «ფრონტი» როდესაც არა სოციალისტებს უმნიშვნელო ადგილი უჭირავთ? ამ ვითომც და დემოკრატიულ პრინციპზედ აგებულ შენობას კიდევ ბევრი ნაკლი ახასიათებს, რასაც მტერი მოხერხებულად იყენებს და უთმრად შლის მათ რიგებს.

სინამდვილეში კი ცხადია დისციპლინას დისციპლინით უნდა უპასუხოთ. გახუნებულ მსოფლიო იდეებს: «პროლეტარებო ყვე ა ქვეყნისა შეერთდით», რომელიც ყველგან გაკოტრდა გარდა რუსეთისა, ეროვნული საღი იდეა: «საქართველო უწინარის ყოვლისა», საქართველო უწინარეს ყოველგვარ პარტიისა, საქართველო უწინარეს პირადი ინტერესებისა უნდა დაუპირდაპიროთ.

ასეთად ჩვენ მიგვაჩნია «თ ე თ რ ი გ ი ო რ გ ი», რომელიც თანაბრად უყურებს როგორც ქ ა რ თ ვ ე ლ მუშას და გლეხს, ისევე ქ ა რ თ ვ ე ლ ბურჟუას და არისტოკრატს. საქართველოში არც ერთს არა აქვს უფლება ერთი-მეორეზედ გაბატონებისა, რადგან ყველანი ქართველები არიან, ხოლო საქართველო კი მათი საერთო სამშობლოა.

და ვინაიდან ახალგაზრდობა მუდამ აქტიურია, მუდამ მებრძოლი, ამიტომ გულზე ხელის დაკრებას და უკეთეს მომავლის თავის-თავად მოსვლის ცდას, ორგანიზაციულად შეკავშირება, თანა-მოაზრეთა მონახვა-გაცნობა ვამჯობინეთ.

სირცხვილია ქართველ ახალგაზრდებისათვის, რომელნიც საზღვარ გარეთ არიან, შორიდგან ჯამშვიდებით უყურონ თავის მოძმეთ, საქართველოში დარჩენილებს მედგრად რომ იბრძვიან თავისუფალ საქართველოსთვის.

აქ მყრალი ჩეკის თვალი მაინც არ აგვდევნებია, ფართე ასპარეზი გვაქვს განვითარების, მომზადების, შეერთების და დასამრახისი იქნება არ გამოვიყენოთ.

რა უნდა უთხრათ ჩვენ ძმებს საქართველოში, როდესაც უკან დავბრუნდებით?

ამიტომ გადავწყვიტეთ აქტიურ მონაწილეობის მიღება ჩვენივე ბედის გადაწყვეტაში და ვსდგებით «თეთრი გიორგი ს» რიგებში «პარსელის თეთრი გიორგის სექციის» სახით და ფიცს ვსდებთ, რომ ვიბრძოლებთ საქართველოს კეთილ-დღეობისათვის სისხლის უკანასკნელ წვეთამდე.

ამასთანვე მოუწოდებთ ყოველ საღათ მოაზროვნე ახალგაზრდას, თავი ანებონ «გაუტვიობის» თამაშს, «მოუცლელობის» თეორიებს და აქტიურად ჩაებან ცხოვრების ფერხულში. დაადგნენ გარკვეულ ხაზს, რომ საქართველოში უიმედობის, უხასიათობის და გულკატენილობის მაგიერ, ჩაიტანონ მტკიცე სიყვარული სამშობლოსი და ახალი სული ახალი ცხოვრებისა.

მარსელის «თ ე თ რ ი გ ი ო რ გ ი-ს». სექცია.

---

## ნაწყვეტები მოგონებიდან.

(გაგრძელება.)

«ხარლამოვ-ი» სრულიად სამართლიანად შეურაცხყოფილი დარჩა მუშათა საბჭოს დადგენილებით და განუცხადა ჩხენკელს, რომ ის საჭიროდ სთვლის თავისი დადგენილება გაატაროს და შეძლება მისცეს ქართულ საზოგადოებას სახალხო ბაღით ისარგებლოს, რომ ის უბრძანებს კომენდანტს ბაღთან მცველები დააყენოს, რათა ქართველებს ხელი არ შეუშალონ სეირნობის გამართვაში. ჩხენკელი კი ხარლამოვის თანახმა არ იყო. მართალია ჩხენკელს სოციალ—დემოკრატიულ პარტიაში განსაკუთრებული პოზიცია ეკავა, ის სცდილობდა მარქსიზმი სამშობლოს სიყვარულთან შეეზავებინა, ასეთი შეზავება პრინციპიალურად შესაძლებელია, ამას ქართველი სოციალ—დემოკრატები არ უარყოფდენ; მხოლოდ საქართველოში ისინი ხედავდნენ განსაკუთრებულ პირობებს; კონკრეტიულად ასეთი განსაკუთრებული პირობა იმაში მდგომარეობდა, რომ საქართველოში ქართველების გარდა სხვანიც სცხოვრობენ, მაგ. სომხები, რომელნიც უმცირესობაში იმყოფებიან. ვინაიდან მათი აზრით პატრიოტული პოლიტიკა საქართველოში ამ უმცირესობის, სომხების დაჩაგვრას მოასწავებდა. ამით სცდილობდენ ეკეთებიათ, რაც ამ უმცირესობას ესიამოვნებოდა. რამდენად უფრო ენერგიულად უწოდებდენ სომხები ქართველ სოციალ—დემოკრატებს შოვინისტებს(!) მით უფრო ენერგიულად აწარმოებდნენ უკანასკნელნი ანტიქართულ პოლიტიკას. ჩხენკელი ურჩევდა ხარლამოვს, რომ შერიგებოდა მუშათა დეპუტატების დადგენილებას. მაგრამ ხარლამოვი არ სთმობდა თავის პოზიციას.

ჩხენკელისათვის, როგორც პატრიოტისათვის, ქართული წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება ძვირფასი იყო, მაგრამ თუ არა მეტად ყოველ შემთხვევაში არა ნაკლებად ძვირფასი იყო მისთვის სოციალ-დემოკრატიული პარტია, რომლის სიმაღლეს მუშათა საბჭო წარმოადგენდა. ხარლამოვის პოზიცია გამოიწვევდა კონფლიქტს ამიერ-კავკასიის კომისარიატსა და მუშათა საბჭოს შორის, და კიდევაც რომ ამ კონფლიქტიდან საბჭო გამარჯვებული გამოსულიყო, მაინც საშინელი სკანდალი იქნებოდა მისთვის და მათ მეთაურ ქართველ სოციალ-დემოკრატებისათვის. შესაძლებელი კი იყო, რომ მუშათა საბჭო, მაშასადამე მისი მეთაური ქართველი სოციალ-დემოკრატები დამარცხებული გამოსულიყვნენ, ვინაიდან მაშინ კიდევ არსებობდა სოციალ—დემოკრატებისაგან დამოუკიდებელი მის ანტიეროვნულ პოლიტიკასთან მებრძოლი ქართული საზოგადოებრივი აზრი, რომელმაც რევოლიუციის პირველ ხანებში მუშათა დეპუტატების საბჭოს კიტა აბაშიძის საკითხის გამო ქედი მოახრევინა. აკაკი ჩხენკელმა თავის დიპლომატიური ტაქტიკით აიცდინა მუშათა დეპუტატების საბჭოს მოსალოდნელი სკანდალი. მან საჩქაროდ დაიბარა თავისას წერა-კითხვის გამგეობის თავჯდომარე ღენერალი ყაზბეგი და სთხოვა სახალხო ბაღზე უარი ეთქვა, ყაზბეგმაც ჩხენკელის თხოვნა შეასრულა და ამით ინციდენტი ამოიწურა.

დამახასიათებელია ამ ისტორიაში, რომ რუსი ხარლამოვი, ქართველების ინტერესს იცავდა ქართველების წინააღმდეგ.

ვ. ემუხვარი.

### ლ ა შ ქ რ უ ლ ი.

დღეს უცხოეთში შეფიცულნი,
მოვდივართ შენთან — ქართველო ერო!
რომ მოგანიჭოთ თავისუფლება
და შენი ხვედრი საქვეყნიერო.
თეთრი გიორგის კურთხევა ვსთხოვოთ,
შევკრათ რიგები ბრძოლის ამტანი,
ერის გუშაგნო! შემოკრბით ჩვენთან
და აღვადგინოთ კვლავ გურჯისტანი.

ჩვენ გვზიარეთ წინაპართ ანდერძს,
ანდერძს დაწერილს სისხლიან ველზე
და გვნახავთ უმალ — ან გამარჯვებულს,
ან მსხვერპლად ქმნილს საკურთხეველზე.
თეთრი გიორგის კურთხევა ვსთხოვოთ,
შევკრათ რიგები ბრძოლის ამტანი,
ერის გუშაგნო! შემოკრბით ჩვენთან
და აღვადგინოთ კვლავ გურჯისტანი.

გაისმის კიდეც შვების ძახილი,
ამორეს ზარი საბედისწერო
და თუ დაგვმლია მტერმა.. ჩვენს შვილებს
ახსოვდეთ ბრძოლა სამაგიერო.
თეთრი გიორგის კურთხევა ვსთხოვოთ,
შევკრათ რიგები ბრძოლის ამტანი;
კურთხეულ იყოს სამარადჟამოდ:
თავისუფლება და გურჯისტანი.

ვენა. N. N.

---

«ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო უ წ ი ნ ა რ ე ს ყ ო ვ ლ ი ს ა»
ქართველ პატრიოტთა ორგანიზაცია «თეთრი გიორგი-ს.»

საქართველოს დღევანდელი მდგომარეობა, ყოველ ჭეშმარიტ ქართველს ავალებს ღრმა დაკვირვებას, ნაბიჯების სწორედ გაზომვას

ის აღუვალი ლაბირინტი «პლატფორმების», «ტაქტიკების», «მეთოდების» და სხვა რომელიც შეჰქმნეს ქართულმა პარტიებმა თუ მათმა ნაზგარად კომუნისტურმა ნაწილებმა, ბევრ მამულიშვილს უბნევს გზას და უმიზნოდ ახეტიალებს მანამდე, სანამ არ გაგრუვდება და მტრის მძლავრ კლანჭებში გამომწყვდეული, მის ფანდურზე არ იცეკვებს.

---

გაზეთ «დამოუკიდებელ საქართველოში» 31 ს მოთავსებული იყო წერილი კარლო მღებრიშვილის, სადაც აცხადებდა: «გამოველ «თეთრი გიორგის» ორგანიზაციიდან იმიტომ რომ მისი აზრით დადგა ისეთი დრო, როდესაც ყველა უნდა იყოს საერთო ფრონტში.»—

ჩვენ თავს არ გაუყადრებდით ასეთ ვაჟკატობების განცხადებებს; და თუ ამას ვსწერთ მხოლოდ მისთვის, რათა შევასწოროთ ფაქტიური არა სინამდვილე. კარლო მღებრიშვილი თვითონ არ გასულა «თეთრი გიორგის» ორგანიზაციიდან, არამედ იყო ადრევე გარიცხული როგორც უვარგისი და აუტანელი წევრი თ. გ. ორგანიზაციისათვის.

ოდენკურ—ვალენტინიეს სექცია.

11 აგვისტოს პარიზში გაიხსნა სტუდენტთა საერთაშორისო კონგრესი, რომელშიაც 44 სახელმწიფოს სტუდენტობამ მიიღო მონაწილეობა; მათ შორის ქართველ სტუდენტთა წარმომადგენლებმაც.

პარიზში არსებულ «შევარდენი-ს» წევრმა ბ. ბექან კორგამემ ქ. კალეს-ლანგრს და დელში გამართულ მოვარჯიშეთა შეჯიბრზე მიიღო მონაწილეობა, როგორც ინდივიდუალურ გამოსვლით საფრანგეთის ჩემპიონატებთან კონკურსზე, სადაც ხარისხით იქნა დაჯილდოვებული.

Rédaction : THETRHRI GUIORGUI, 93, Rue Mademoiselle, PARIS (15e)

Montbéliard. — Sté Anonyme d'Imp. Montbéliardaise